ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ76.76222077**
თარიღი:**26/07/2022**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნება პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლისა და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ნოემბრის N25 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესი“-ს მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი.

2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ნოემბრის N25 დადგენილებით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 16 მაისის N1005 ბრძანება.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში. (ქ. ამბროლაური კოსტავას ქუჩა N 13)

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ქალაქი ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა #11, ტელ: (0439) 22 10 14
#11 BRATISLAVA-RACHA STR, AMBROLAURI, TEL: (0439) 22 10 14, E-MAIL: info.ambrolauri@gmail.com

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი